კალიფორნიის უნივერსიტეტი სან-ფრანცისკოში, სან-ფრანცისკო
ექსპერიმენტში მონაწილე სუბიექტის
უფლებათა ბილი

ქვემოთ მოცემული უფლებები წარმოადგენს თითოეული პირის უფლებებს, რომელსაც სთხოვენ სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობას. ექსპერიმენტში მონაწილე სუბიექტის რანგში, მე მაქვს შემდეგი უფლებები:

1) ვიცოდე, რის აღმოჩენას ცდილობენ კვლევაში,
2) ვიცოდე, რა დამემართება და განსხვავდება თუ არა ამ კვლევის რომელიმე პროცედურა, პრეპარატი ან აპარატურა სტანდარტულ პრაქტიკაში გამოყენებული მეთოდებისგან,
3) ვიცოდე ხშირი და/ან საყურადღებო რისკების, გვერდითი ეფექტების ან დისკომფორტების შესახებ, რაც შეიძლება შემემთხვეს კვლევის მიზნებით,
4) ვიცოდე, უნდა მქონდეს თუ არა რაიმე სარგებლის მოლოდინი კვლევაში მონაწილეობის წყალობით და თუ ეს მოხდება, რაში შეიძლება გამოიხატოს ეს სარგებელი,
5) ვიცოდე, სხვა რა არჩევანი მაქვს და რით შეიძლება ის უკეთესი ან უარესი იყოს ამ კვლევაში მონაწილეობასთან შედარებით,
6) მქონდეს კვლევასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვის დასმის უფლება კვლევაში ჩართვაზე თანხმობის მიცემამდე და კვლევის მიმდინარეობისას,
7) ვიცოდე, რა სახის სამედიცინო მკურნალობა იქნება ჩემთვის ხელმისაწვდომი რაიმე გართულების განვითარების შემთხვევაში,
8) საერთოდ უარი ვთქვა კვლევაში მონაწილეობაზე ან შევიცვალო აზრი მონაწილეობის შესახებ კვლევის დაწყების შემდეგ. ეს გადაწყვეტილება არ იქონიებს გავლენას ჩემს უფლებაზე, რომ ჩამიტარდეს მკურნალობა, რომელიც ჩამიტარდებოდა იმ შემთხვევაში, თუ კვლევაში მონაწილეობას არ მივიღებდი,
9) მივიღო ინფორმირებული თანხმობის ხელმოწერილი და დათარიღებული ფორმის ასლი,
10) არ იყოს ჩემზე ზეწოლა, როდესაც განვიხილავ საკითხს იმის შესახებ, მსურს თუ არა კვლევაში მონაწილეობის მიღება.

ჩემი კვლევის ექიმი მეტყვის, არის თუ არა სამეცნიერო კვლევა რეგულირებული სურსათისა და წამლის ადმინისტრაციის (FDA) მიერ. მე მესმის, რომ თუ ეს კვლევა რეგულირდება FDA-ს მიერ სურსათის, წამლის და კოსმეტიკის შესახებ ფედერალური კანონის შესაბამისად (FD&C Act), FDA-მ შეიძლება შეამოწმოს და დააკოპიროს ყველა ჩანაწერი, რომელიც ეხება კვლევაში ჩემს მონაწილეობას.

თუ გაქვთ სხვა შეკითხვები, უნდა მიმართოთ მკვლევარს ან მკვლევრის ასისტენტს. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ინსტიტუციონალურ განხილვის საბჭოს (IRB), რომელსაც ეხება კვლევით პროექტებში მონაწილეთა დაცვა. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ IRB ოფისს დარეკვით: (415) 476-1814 დილის 8:00 საათიდან საღამოს 5:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ან წერილობით UCSF Human Research Protection Program, Box 1288, 490 Illinois Street, Floor 6, San Francisco, CA 94143, ან ელფოსტით: irb@ucsf.edu. თარგმანის შესახებ ინფორმაციისათვის დარეკეთ (415) 476-1814 ან ელფოსტით irb@ucsf.edu.

თანხმობის ელემენტები ზეპირად იქნა წარმოდგენილი.

მონაწილის სახელი და გვარი

მონაწილის ხელმოწერა თანხმობისთვის

მშობელი ან კანონიერად უფლებამოსილი წარმომადგენელი

მოწმის ხელმოწერა

თარიღი